PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სარესტორნო მომსახურება“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრები:
ნანა შათირიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ფაზისი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯი "ფაზისის" მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 12 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი ,,სარესტორნო მომსახურების" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ (ქ.ფოთი). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01/04/2021 N313813 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31–ე მუხლის, მე–2 ე–პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია,შედგა დისტანციური ვიზიტის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021წლის 21 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის გარემოს ონლაინ დათვალიერება: სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები/ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და შესაბამისად დისტანციურად ასევე დათვალიერება პრაქტიკის ობიექტების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები ამ ქვესტანდარტებთან მიმართებაში არ გაცემულა, რადგან მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეამოწმეს მხოლოდ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ბ.ა) და ა.ა) კომპონენტი, ხოლო წინა წარმოების დროს გაცემული რეკომენდაციები ცალსახად სხვა პროგრამას შეეხებოდა რისი შემოწმების საშუალებაც არ ქონდათ ექსპერტებს.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01/98 05.08.2019 მოდიფიცირება - N01/112 14.08.2019 ცვლილება - N 01/12 01.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	10
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	158
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	188
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	128

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	შესაბამისი	შესაბამისი
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შესაბამისი	შესაბამისი

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.*<u>კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ სარესტორნო მომსახურება“ ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>* კერძოდ, კოლეჯის მისიის განაცხადში დეკლარირებულია პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის თანაბარი პირობების შექმნა და პროფესიული განათლების მსურველთა მაჩვენებელთა ზრდის მხარდაჭერა, შესაბამისად განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან. ამასთანავე კოლეჯს სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგემილი აქვს პროგრამების ინტეგრირებული მიდგომით განხორციელება. ვიზიტისას შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. წარმოდგენილი მტკიცებულებისა და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტურიზმის მიმართულებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განსაკუთრებით კვების ობიექტებში დასქმების მიმართულებით რეგიონში მოთხოვნა მზარდია, ამასთანავე კოლეჯს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ამ მიმართულებით პროგრამების განხორციელებისა(მათ შორის მოკლევადიანი მომზადება /გადამზადები კურსები) და კურსდამათვრებულების მაღალი დასაქმების მაჩვენებლის. კოლეჯის მიერ შესაწავლილი იქნა სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების განწყობები და მზაობა „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული პროგრამის ინტეგირებული მიდგომით განხოცილების შესახებ. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის, ინტეგრირებული მიდგომით განახორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მასზე მოთხოვნა.

2. „სარესტორნო მომსაუხურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად, ***კერძოდ: არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში დაიშვებიან საბაზო განათლების მქონე პირები.***

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას პროგრამის მიხედვით განსაზღვრავს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს, ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსების მიხედვით, რომელიც გამოიყენება კოლეჯის მიზნების რეალიზაციისთვის და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რაც შეეხება ინტეგრირებულ მოდულებს, ისინი განხორციელდება მოდულებში მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსების შესაბამისად. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი); ბ) პროგრამის ფარგლებში გამოიყენება B სასწავლო გარემო, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე; გ) C გარემო-სასტუმროს ნომრის სიმულაციური ოთახი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ სტუდენტთა რაოდენობა გათვლილია და შესაბამისობაშია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“.</u>

პროგრამაზე (ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით) - ,,სარესტორნო მომსახურების “ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 62-ე მუხლის მოთხოვნებს. პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ (ინტეგრირებული სასწავლო გეგმით) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა (მათ შორის, ლაბორატორია), ადამიანური რესურსის ოდენობა, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებლების, პროგრამის სპეციფიკა, ხანგრძლივობა და ის გარემოება, რომ კოლეჯი მუშაობს სხვადასხვა ცვლაში.

4.ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „სარესტონო მომსახურება“ გათვალისწინებული რესურსი. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; *<u>დასტურდება რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება</u>*

5.პროფესიული საგანმანთლებლო *<u>პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ მოიცავს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ შემდეგ არჩევით მოდულებს</u>*: „საწარმოო პრაქტიკა“; „ღვინის დეგუსტაცია“; „ქარვინგი“; „ბარის ორგანიზება“. მოცემული არჩევითი მოდულები ლოგიკურ ბმაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

<u>6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ.</u> კერძოდ, კოლეჯის შიდა რეგულაციების თანახმად (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა, რითაც განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცება, გაუქმება და პროგრამაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული რეგულაციების შესაბამისად ,,სარესტორნო მომსახურების" პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ფაზისი" დირექტორის N01/98 05.08.2019 ბრძანებით და მასში ცვლილება (ზოგადი მოდულების ინტეგრირება) განხორციელდა კოლეჯის დირექტორის N 01/12 01.03.2021 ბრძანების საფუძველზე.

7.პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სარესტორნო მომსახურება" შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და ***არ არის შეცდომაში შემყვანი.***

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მიოიცავს ყველა საერთო პროფესიულ მოდულს, ზოგად მოდულებს და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ჩარჩო დოკუმენტთან. ასევე, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესთან. საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სარესტორნო მომსახურება", განსაზღვრულია პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (განხორციელების მიდგომების შესაბამისად), მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. ექსპერტთა მიერ შეფასებული იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს: მოდულებს (მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულები), სასწავლო გეგმა (ორი სხვადასხვა მიდგომით), ინფორმაცია პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების თაობაზე, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. ინტეგრირებულ პროგრამაზე სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე. პროგრამას თან ერთვის მოდულები: ,,ქართული ენა A2", „ქართული ენა B1" და აღნიშნული მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა. კოლეჯის სურვილია პროგრამა განხორციელოს ორი სხვადასხვა მიდგომით: მოდულური ინტეგრირებული სასწავლო გეგმით და მოდულური არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, კოლჯს შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია: ბრძანება N01/111 16.11.2017წ.;**
- **პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი";**
- **საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;**
- **საგანამანათლებლო პროგრამა;**
- **ბრძანება N 01-129 21.12.2017 ცვლილება N 01/15 26.02.2020 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი" პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ**
- **დოკუმენტი რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე პასუხისმეგებელი პირი/ორგანო;**
- **ბრძანება N01/111 16.11.2017 წ. / ცვლილება - 01/15 26.02.2020 „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შეუშავებისა და დამატების წესი";**
- **საგანამანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - ბრძანებაN 01/12 01.03.2021**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,სარესტორნო მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. პროგრამის (მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის) განხორციელების პროცესში კოლეჯის პარტნიორები არიან 4(ოთხი) პრაქტიკის ობიექტი; ექსპერეტბი გაესაუბრნენ ორი პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელს (სასტურმო „ვილა რეტა“, „ბრიკორამა“). სასტუმროს წარმოამაგდენილის განცხადებით კოლეჯთან თანამშრომლობა პრიორიტეტულია და ისინი პროგრამის არა მხოლოდ განხორციელების ფაზაში მონაწილეობენ, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი მისი შემუშავების და განვითარების პროცესებში, რადგან სასტუმრო მაღალი სტანადარტებით საქმიანობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელიც მოითხოვს ადგილობრივ ბაზარზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, მომზადებას და მათ განვითარებაზე ზრუნვას. პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A გარემო, ერთი B გარემო. C გარემო-სასტუმროს ნომრის სიმულაციური ოთახი ფართი 40,2 კვ.მ; ფართი თეორიული სწავლებისათვის- 34,2 კვ.მ და 26,2 კვ.მ, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამუშაო მაგიდა, სკამი და ა.შ). რეცეფშენი-27,3 კვ.მ; სასტუმრო მართვის პროგრამა "ოპერა" და სარესტორნო მომსახურეობის პროგრამა ,,სუფრა+" რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფში 10 პროფესიულ სტუდენტზე.

<u>ინტეგრირებული მოდულებისთვის გათვალისწინებულია 3 A და 3 C გარემო თეორიული სწავლებისთვის.</u>

1) A გარემო-1 - გეოგრაფია, მეწარმეობა და ბიოლოგიისთვის განკუთვნილია ერთი A გარემო, რომელიც აღჭურვილია თეორიული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით, გათვლილია ინტეგრირებული პროგრამის სწავლებისთვის.

2) A გარემო-2 –მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდულის ფიზიკური მოვლენების მიმართულებისთვის დაგეგმილია ელექტრიკოსის კაბინეტის გამოყენება, რომელიც აღჭურვილია მიმართულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და მოხდება მისი ინტეგრირებული პროგრამისთვის გამოყენება სხვა მოდულებთან ერთად წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით.

3) A გარემო-3 - პრაგრამით გათვალისწინებული მოდულებისთვის - მოქალაქეობა და კომუნიკაცია ქართულ ენაზე განკუთვნილია ცალკე A გარემო, აღნიშნული A გარემო აღჭურვილია მოქალაქეობა და კომუნიკაცია ქართულ ენაზე - მოდულებისთვის საჭირო მატერიალური ინვენტარით და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

<u>ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია შემდეგი 3 C გარემო:</u>

მეცნიერება და ტექნოლოგიებს მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან. შესაბამისად დაწესებულებას აქვს გამოყოფილი ე.წ. სასწავლო ლაბორატორიები (C სასწავლო გარემო) ქიმიის, ფიზიკის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიოლოგიის მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია მოდულების შესაბამისი მატერიალური ინვენტარით და მოდულის პროცესების მიმართულებისათვის საჭირო აღჭურვილობით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და ასევე მოხდა დისტანციურად ვიდეოზარის საშუალებით დათვალიერებაც. ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები (A,B,C) გათვალისწინებულია ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი აღჭურვილობით, თუმცა პროგრამისათვის მოთხოვნილი რაოდენობა პროფესიული სტუდენტების არის 10 პროფესიული სტუდენტი. სასწავლო გარემო, როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში, აჭურვილია მასწავლებლის სამუშაო კუთხით (მაგიდით და სკამით), პროექტორით და ქსელში ჩართული კომპიუტერით. ***<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>***

2. „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სარესტონო მომსახურება“ კოლეჯს საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 14 (თოთხმეტი) კონკურსის წესით შერჩეული ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი (ინტეგრირებული მოდულებისათვის კონკურსის წესით შერჩეულია რამდენიმე მოდულზე ორი განმახორციელებელი პედაგოგი). დოკუმენტაციის შესწავლის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, მოხდა მათთან გასაუბრება და გადამოწმდა მათი სასწავლო დატვირთვა. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა მოთხოვნილი კვოტის შემთხვევაში (10) ***<u>უზრუნველყოფს „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>***

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: „სარესტორნო მომსახურება“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ასევე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგი პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სწავლების და შეფასების მიმართულებით, შესაბამისად მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება. საშტატო პერსონალის - მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშების ფორმის მიხედვით, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სამუშაოები არ აღემატება კვირაში 40 საათს. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის თანხმად გასულ წელს გამოცხადდა კონკურსი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებზე, იმავე წესის თანხმად გაიწერა შერჩევის კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. 2019 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, შეირჩა სულ 14 მასწავლებელი, რომლებთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. შერჩეულმა პედაგოგებმა გასულ წელს გაიარეს ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. ამრიგად პროგრამისთვის განსაზღვრული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ რამდენიმე პედაგოგთან ჩატარდა ინტერვიუ, რომლის შედეგად გაირკვა, რომ: შერჩეულ პედაგოგებს, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, არიან კვალიფიციური მასწავლებლები, აქვთ სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, იციან სწავლების და შეფასების მეთოდები.

<u>პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, რომ მას აქვს მოდულური პროგრამით სწავლების გამოცდილება, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო. *საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (როგორც მოდულური ასევე ინტეგრირებული მიდგომით პროგრამის განხორციელებისათვის), ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა განახორციელა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის ლიტერატურის შესყიდვა, რაც ვიზიტისას დადასტურდა დათვალიერებით. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ასევე არის ელექტრონული ბიბლიოთეკა - Open Biblio. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს გაწერილი მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სსსმ / შშმ პირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ და შშმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ არიან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები. აგრეთვე შესაძლებელია მშობელის/მშობლების, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრის/წევრების, ფსიქოლოგის (მოწვეული) ჩართულობა. კოლეჯის შენობა ადაპტირებულია: პირველი და მესამე სართულის სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წერტილები ადაპტირებულია, არის პანდუსები, მოქმედი ლიფტი და შესაბამისად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ***<u>პროგრამისთვის შედგენილი ბიუჯეტი</u>*** ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პედაგოგების პირადი საქმეები;
- სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის ბრძანება N01/18 12,03,2021 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,მატშორის პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მიზნით, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- განაცხადის დანართი 5 - პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას.
- კოლეჯის ადმინსტრაციის წარმომადგენლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან (პედაგოგებთან) ინტერვიუირება;
- დათვალიერებით ვიდეო ზარის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ვიზიტის განრიგი

14.05.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: